

შპს ბანი 13 (ს/კ 404980213)

ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა
2022 წლის 31 დეკემბერს

შპს „ბანი 13“

ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება ----- 3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ----- 4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია -----5
2. მომზადების საფუძვლები -----7
3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა ----- 7
4. ამონაგები -----7
5. საბიუჯეტო გადასახადები -----8
6. სავაჭრო და სხვა მთხოვნები -----8
7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები -----8
8. ძირითადი საშუალებები -----9
9. არამატერიალური აქტივები -----10
10. ბანკის ოვერდრაფტი და სესხი -----10
11. სავაჭრო ვალდებულებები -----11
12. საკუთარი კაპიტალი -----11
13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები -----11
14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება -----11

შპს ბანი 13

საიდენტიფიკაციო კოდი: 404980213

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს საანგარიშგებო ვალუტა:ლარი

	შენიშვნა	2021	2022
შემოსავალი	4	7407496	8289984
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-6407509	-6596389
საერთო მოგება		999988	1693595
სხვა შემოსავალი		0	
მიწოდების ხარჯები		-60134	-49016
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		-1135088	-1462721
სხვა ხარჯები		-282376	-226805
საოპერაციო მოგება		-477610	-44947

მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან		-19	2.04
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		-113566	-127200.26
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	5	382897	110808.22
მოგება დაბეგვრამდე		-208298	-28557

მოგების გადასახადის ხარჯი		-497	0
მიმდინარე წლის მოგება		-208796	-28557

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		0	
სხვა		0	

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი),

სულ: 0

მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		-208796	-28557
------------------------------------	--	---------	--------

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		5981130	6917971
ახალი აქციების გამოშვება		0	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	3	0	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-208796	-28557
კაპიტალის სხვა ცვლილებები		1145637	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	16	6917971	6889414

დირექტორი: დავით ჩახტაური
ხელმოწერა:



შპს ბანი 13

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

აქტივები	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2022
მიმდინარე აქტივები		1786478	1855075
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17	133368	229331
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1491567	1496907
გაცემული ავანსები		500	300
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	10	138625	110418
სხვა მიმდინარე აქტივები		22417	18119
გრძელვადიანი გაქტივები		5565144	5342233
ძირითადი საშუალებები	11	2615584	2392673
არამატერიალური აქტივები	12	2932235	2932235
გრძელვადიანი მოთხოვნები		17325	17325
სულ აქტივები		7351621	7197308
ვალდებულებები	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2022
მიმდინარე ვალდებულებები		433649	307894
მოკლევადიანი ვალდებულებები	14	318835	244869
საგადასახადო ვალდებულებები	7	103522	60587
დარიცხული ვალდებულებები		0	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება		11293	2438
გრძელვადიანი ვალდებულებები		0	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	13	0	
საკუთარი კაპიტალი		6917972	6889414
საწესდებო კაპიტალი		8186402	8149575
დაუფარავი ზარალი		-1268430	-1260161
გადაფასების რეზერვი		0	
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		7351621	7,197,308

დირექტორი: დავით ჩახტაური

ხელმოწერა:



შპს ბანი 13

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

ბანი 13 შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ს. ცინცაძის ქ. 67ა, ბ. 19.

მისი ძირითადი საქმიანობებია ბენზინისა და ბუნებრივი აირის რეალიზაცია, იჯარით ფართის გაცემა, სავაჭრო ნიშნის ფრენჩაიზინგი და სერვისცენტრით მომსახურება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს და მოგების გადასახადის გადახდა ხდება ყოველთვიურ

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი საგარეო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები

4-8 პროცენტი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა

8-20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, ასევე შეწირვების შედეგად წარმოქმნილ გუდვილს და სასაქონლო ნიშანს რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში 15% იანი განაკვეთით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარგალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარგალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარგალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. შეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაეირიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის

შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ზორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში

3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

4. ამონაგები

	2021	2022		
საქონლის გაყიდვა			7285171	8154490
რეალიზაცია კომპენსაციის გარეშე	10119	14978		
სერვისცენტრისა და სხვა მომსახურება	73539	92748		
იჯარა	37560	26751		
სავაჭრო ნიშნის ფრენჩაიზინგი	1017	1017		
	<u>7 407 496</u>	<u>8 289 984</u>		

5. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს ეკოქარდიდან მიღებულ შემოსავალს 110 808.22 ლარის, სახელმწიფო სუბსიდიები 1,348.15 ლარის ოდენობით.

6.ფინანსური დანახარჯები

2021

2022

ბანკის სესხის პროცენტი

(6949

(0000)

(6949)

(0000)

7.საბიუჯეტო გადასახადები

2021

2022

103522

60587

8. gadasaxadebi

2021

2022

103521

61916.87

9.საგაჭრო და სხვა
მოთხოვნები

2021

2022

20 საგაჭრო დებიტორები

241446,9

225818.00

241446,9

225818.00

10. სასაქონლო - მატერიალური
ფასეულობები

2021

2022

საქონელი

71978,16

73719,72

ნედლეული და მასალა

66646,83

33863,15

138624,99

107582,8

11.ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და მოწყობილობა	ბიოლოგიური აქტივები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
თვითღირებულება				
1 იანვარი, 2022წ.	1629742	1982944	73775	3,686,461
შემოსვლა	0	3894.07	()	3894.07
გასვლა	()	()	()	()
31 დეკემბერი, 2022 წ.	1629742	1986837.7	73775.38	3690355.08
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება				
1 იანვარი, 2022 წ.	129403	941474	0	1070877
წლიური ცვეთა	38322.86	188482.17	()	226805.03
გაუფასურება	()	()	()	()
გამოკლებული გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	()	()	()	()
31 დეკემბერი, 2022 წ.	167725.73	1129956.5	0	1297682.23
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი, 2022 წ.	1,462,016.27	856,881.2	73775	2,392,672.47

12.არამატერიალური აქტივები

	გუდვილი	სასაქონლო ნიშანი	კომპიუტერული პროგრამები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
თვითღირებულება				
1 იანვარი, 2022 წ.	2910284	207	21744	2932235
შემოსვლა	()	()	()	()
გასვლა	()	()	()	()
31 დეკემბერი, 2022 წ.	2910284	207	21744	2932235
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება				
1 იანვარი, 2020 წ.	0	0	0	0
წლიური ცვეთა	0	()	()	0
გაუფასურება	()	()	()	()
გამოკლებული გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	()	()	()	()
31 დეკემბერი, 2020 წ.	0	0	0	0
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი, 2020 წ.	2910284	207	21744	2932235

13.ბანკის სესხი

	2021 ლარი	2022 ლარი
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0
	0	0

ბანკის სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწისა და შენობა-ნაგებობების ცვალებადი გირაოთი, რომლის საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 0 ლარს.

14.სავაჭრო ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს 225818 ლარი, რომელიც გამოსახულია ეროვნულ ვალუტებში.

15.ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

ჯგუფს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს ქონება. იჯარების საშუალო ვადა სამი წელია და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

	2021 ლარი	2022 ლარი
ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული მინიმალური საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად	59739	61944.99

16.კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრისთვის საკუთარი კაპიტალის ნაშთი შეადგენს 8149574.9 ლარს.

17.ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2021	2022
ფულადი სახსრები სალაროში	20449	33199.96
ფული საბანკო ანგარიშებზე და მისი ეკვივალენტები	1129181	196146.1
	133368	229345.96

18.ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი: დავით ჩახტაური

ხელმოწერა:

